საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა: ვინაიდან დასაზუსტებელია სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის სარეგისტრაციო პროცედურები (საკადასტრო ობიექტებად დაყოფა) საკითხი მოიხსნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა ცნობად იქნას მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.